

## გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის  
დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის -  
**ნოდარ ამალაშვილის სახელობის მაღალი ენერჯიზის ფიზიკის  
სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის (თსუ მეფი) -**  
დირექტორის კანდიდატურის შესარჩევად კონკურსის გამოცხადების შესახებ

1. თსუ მეფი-ს დირექტორს, თსუ დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის - მაღალი ენერჯიზის ფიზიკის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დებულების შესაბამისად, ღია კონკურსის საფუძველზე შეარჩევს ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭო და დასატყობიანებლად წარუდგენს უნივერსიტეტის აკადემიურ საბჭოს.

2. თსუ მეფი-ს დირექტორად შეიძლება შეირჩეს პირი, რომელიც აკმაყოფილებს მაღალი ენერჯიზის ფიზიკის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის მთავარი მეცნიერი თანამშრომლისთვის დადგენილ მოთხოვნებს, რაც გათვალისწინებულია თსუ აკადემიური საბჭოს 2017 წლის 31 მაისის N63/2017 დადგენილებით მიღებული და წარმომადგენლობითი საბჭოს 2017 წლის 26 ივნისის №3 სხდომის ოქმით დამტკიცებული „სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის სამეცნიერო პერსონალის სამსახურში მიღების ერთიანი წესი“-თ და სამეცნიერო თანამდებობის დაკავების დამატებითი პირობების მე-2 მუხლითა და „საკონკურსო თანამდებობებისათვის განსაზღვრული კრიტერიუმები ინსტიტუტების და სამეცნიერო თანამდებობების მიხედვით“ მე-15 მუხლის პირველი პუნქტით, ასევე მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით.

3. კონკურსი ცხადდება ინსტიტუტის დირექტორის თანამდებობის დასაკავებლად - 1 სამტატო ერთეული (ასაკობრივი შეზღუდვა მოხსნილია).

4. კონკურსის უნდა აკმაყოფილებდეს

4.1 მთავარი მეცნიერი თანამშრომლისადმი წაყენებულ ძირითად მოთხოვნებს, რაც მდგომარეობს შემდეგში:

ბ) მთავარი მეცნიერი თანამშრომლის თანამდებობაზე 10 წლის ვადით შეიძლება აირჩეს პირი, რომელსაც აქვს დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი, სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის არანაკლებ 6 წლის გამოცდილება (რაც გულისხმობს არამხოლოდ სამეცნიერო-კვლევით, უმაღლეს საგანმანათლებლო ან სხვა პროფილურ დაწესებულებაში სამეცნიერო თანამდებობაზე მუშაობას, არამედ გამოქვეყნებულ სამეცნიერო პუბლიკაციებსაც), ბოლო 10 წლის განმავლობაში გამოქვეყნებული ან გამოსაქვეყნებლად მიღებული სამეცნიერო პუბლიკაციები, მათ შორის არანაკლებ 3 რეიტინგული სამეცნიერო პუბლიკაცია მაინც სამეცნიერო-კვლევითი პროდუქციის კლასიფიკაციის მიხედვით.

4.2 თსუ მაღალი ენერჯიზის ფიზიკის ინსტიტუტის მთავარი მეცნიერი თანამშრომლისათვის დადგენილ დამატებით მოთხოვნებს, რაც მდგომარეობს შემდეგში: მთავარი მეცნიერი თანამშრომელი 10 წლის ვადით - სამეცნიერო-კვლევით პროექტებში მონაწილეობა;

4.3

ა) მაღალი ენერჯიების ფიზიკის სფეროში საერთაშორისო სამეცნიერო თანამშრომლობების ფარგლებში თეორიული ფიზიკის, ან მონაცემთა ანალიზის, ან მეთოდურ ექსპერიმენტულ მიმართულებაში მუშაობის არანაკლებ 5 წლის გამოცდილება.

ბ) სამეცნიერო დაწესებულების, ან სამეცნიერო დაწესებულების არანაკლებ 10 მეცნიერისგან შემდგარი სამეცნიერო სტრუქტურული ერთეულის, მართვის არანაკლებ 5 წლის გამოცდილება; ან წარმატებულად დასრულებული სამეცნიერო საგრანტო პროექტების ხელმძღვანელობის გამოცდილება.

4.4 სამეცნიერო საბჭო უფლებამოსილია კანდიდატს მოთხოვოს ინსტიტუტის წინაშე მდგარი ამოცანების გადაჭრისა და ფუნქციების შესრულების, აგრეთვე ინსტიტუტის შემდგომი განვითარების მისეული ხედვის პრეზენტაცია.

5. კონკურსანტმა უნდა წარმოადგინოს:

ა) განცხადება ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს სახელზე. განცხადებაში მითითებული უნდა იყოს დაინტერესებული პირის ვინაობა, საცხოვრებელი მისამართი, საკონტაქტო ტელეფონის ნომერი, ელ. ფოსტის მისამართი;

ბ) პირადობის მოწმობის ან პასპორტის სურათიანი გვერდის ასლი;

გ) ავტობიოგრაფია (CV) სამეცნიერო პუბლიკაციების ნუსხითურთ, შედგენილი კონკურსანტისათვის მისაღები ფორმით მისი მოღვაწეობის სრულად ასასახავად (ავტობიოგრაფია წარმოდგენილი უნდა იყოს როგორც ნაბეჭდი, ისე ელექტრონული სახით, ფაილის ფორმატი – Word ან PDF ფაილების სახით);

დ) ორი ფოტოსურათი (3X4);

ე) შესაბამისი აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დოკუმენტის (დოკუმენტების) უცხო ქვეყანაში მიღებული განათლების ან/და სამეცნიერო ხარისხის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) აღიარების კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცემული დოკუმენტის (დოკუმენტების) ასლი;

ვ) სამსახურობრივი გამოცდილების ამსახველი კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცემული დოკუმენტი (ცნობა/შრომის წიგნაკის ასლი/ სხვ.);

ზ) სამეცნიერო-ორგანიზაციული მუშაობის გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტი.

6. კონკურსი გამოცხადდეს 2024 წლის 17 აპრილს. საკონკურსო დოკუმენტაციის მიღება იწარმოებს 2024 წლის 2 მაისიდან 2024 წლის 9 მაისის ჩათვლით, 10:00-დან 17:00 საათამდე მაღალი ენერჯიების ფიზიკის ინსტიტუტში, ოთახი 448, თბილისი, გიორგი დანელიას ქ. 10. სამეცნიერო საბჭოს (კომისიის) შემაჯამებელი ოქმი თსუ აკადემიურ საბჭოს გადაეცეს არაუგვიანეს 2024 წლის 13 მაისისა.

7. შედეგები ძალაში შედის სამეცნიერო თანამდებობებზე კონკურსის შედეგების ძალაში შესვლისთანავე.